ქართულის, როგორც მეორე ენის, საგამოცდო პროგრამა
(მე-6 კლასი)

პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, საგნობრივ პროგრამას; ტესტში წარმოდგენილი დავალებები სტანდარტის შესაბამისი იქნება.

საგამოცდო ტესტი შეამოწმებს:

1. ლექსიკის ცოდნას;
2. კონტექსტის შესაბამისი გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
3. სხვადასხვა სახის ტექსტების *(ღია ბარათის, პირადი წერილის, სარეკლამო განცხადების, ბიოგრაფიის...)* წაკითხვისა და გაგების უნარს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის *(ვინ, სად, რა, როდის, რამდენი და სხვა)* ამოცნობა;
- ტექსტის ავტორის, ადრესატის, თემისა და მიზნის ამოცნობა;
- ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა;
- ნათქვამის მოდალობის *(შეკითხვის, თხოვნის, რჩევის, ბრძანების)* გარჩევა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების კონტექსტის გათვალისწინებით სწორად შერჩევა;
- ძირითადი ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

საგამოცდო პროგრამის ენობრივი საკითხების ჩამონათვალი

ლექსიკა:

- სინონიმები, ანტონიმები.

მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი:
- *ბრუნება; კუმშვა, კვეცა;*
- *რიცხვი.*
2. ზედსართავი სახელი:
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*
3. რიცხვითი სახელი:
- *რაოდენობითი, რიგობითი.*
4. ნაცვალსახელი:
- *პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები;*
- *პირის ნაცვალსახელთა ბრუნება.*
5. ზმნა:
- *პირი და რიცხვი;*
- *დრო;*
- *ზმნისწინი.*
6. ზმნიზედა.
7. თანდებული.
8. კავშირი.

სინტაქსი:

1. წინადადების ტიპები შინაარსისა და აგებულების მიხედვით;
2. წინადადების წევრები;
3. სინტაქსური ურთიერთობები წინადადების მთავარ წევრებს შორის.

პუნქტუაცია:

პუნქტუაციის ძირითადი წესები.